

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 18

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

9 ოქტომბერი 2018 წელი
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, კობა ტოხვაძე, ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია.

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა: შალვა ლორთქიფანიძე, ოლეგი მიქელთაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოლომონ II -ის ქუჩა N59-ში მდებარე რაგბის მოედნისა და ტრიბუნისათვის ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხს: /გელა ჩიკვაძე/

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოლომონ II -ის ქუჩა N59-ში მდებარე რაგბის მოედნისა და ტრიბუნისათვის ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ და განმარტა, რომ საქათველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვებლობის კოდექსი 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2018 წლის 31 ივლისის N11 სხდომის ოქმის ამონაწერის შესაბამისად, მიენიჭოს ბეჟან ხურციძის სახელი ვანში სოლომონ II -ის ქუჩა N59 - ში მდებარე რაგბის მოედანსა და ტრიბუნას.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენის საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოლომონ II -ის ქუჩა N59-ში მდებარე რაგბის მოედნისა და ტრიბუნისათვის ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N2/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე
საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის თავმჯდომარე